



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღს
№ 49 **ნოემბერი 24 1896 წ.** **№ 49**

შინაარსი: გვირდნ გვირამდე მავაგალსა, — გაუ-ფშველას პოეზია, (შემდეგი) ი. ნაკაშისა. — სხვა-და-სხვა ამბავი, —
 „გვალის“ კორესპონდენციები. — იანაოლი, (აღივრდის პასენაო) დეკლი რუსიამერელსა. — უცხოელადნ: სოფელი და სასოფლო
 სკოლა გერმანიასა, (შემდეგი) საზღვარგარეთელსა. — განგება ღვოსა აღსრულდეს, (ოსერი ლეგენდა) ა. ერისთავისა. — უც-
 ხოელის ამბავი. — სახუმარო განართობი — კო მეთადღურესი. — კვლის ფოსტა და განცხადება.

№ XI „კვირისა“ გამოვიდა და დათურვიდა ხელის მომწერლებს.

გაუა-ფშველას პოეზია.*)

(კრიტიკული ცდა.)

ცეცხლი ჭერთობდა ღველ ფშელად
 ჩინგულს უკრავდა დროელი;
 კაცი რამ უხდა გვერდფელად,
 დამედდა გმირობისასა,
 მამა-მამათა ცდისასა:
 როგორ აჩუქდენ ფშა-ხვესურთ,
 სისხლს არ აჩუქდენ ქსისასა,
 ფველგან მადლობას სწორავდენ
 მარჯვენას კაი ყმისასა.

გ.შ.


მეტი მიუახლოვდით ახლა ვაჟას პოეზიის ძი-
 რითად შინაარსს, მისი უღრმესი სიმღერს კი-
 ლოს. აქამდის ჩვენი ნათქვამი კი ვაჟას შე-
 მოქმედების ფორმასა და მიდამოს შეეხებოდა. ვაჟა
 ცნობილია ჩვენში როგორც პოეტი — ეპიკოსი ამ სი-

ტყვას განმარტება სჭირია. ეპოსი, როგორც ყველა შემ-
 რი ამ წუთით-სოფელში, მრავალ აზრიანი და მრავალ-
 გვარია. ეპოსი¹⁾ — მოთხრობითი პოეზია, პოეზიის
 ერთი უძველესი დარგია, და მისი დასაბამი, ქვეყნის
 დასაბამივით, ბინდით არის მოკლე. ეპოსა მო-
 გეოთხრობს ერთა მოქმედებას, ხალხის უწარჩინებუ-
 ლესთა ნაღვაწ-ნაგმირაღს. მეცნიერების შუქის წყა-
 ლობით, ჩვენ ეპოსის გაჩენამდის გამოცხადებულს
 მის წინამორბედს ეხედეთ: ლეთიურ-ზეციურ ძალ-
 თა შესხმას, ჰიმნების პოეზიას. ადამიანმა პირველათ
 რომ თავი გაიცირო, თავის მოძქვს ხელი მისცა და
 კაცობრიობამ, ხელი-ხელ მოკიდებულმა, გულის სი-
 ღრმიდან ღმერთთა მიმართ შესხმა-ღიდება აღაკმია,
 ეს იყო ჰიმნების შემოქმედება, ხოლოთ საგალობელი,
 კაცობრიობის აღმომავალი პოეზიის პირველი სხივი.

შემდეგ გაჩნდა ეპოსი, პოეზია გმირული, ერის
 გამოჩენილ შეიღთა, ამ ქვეყნათ ლეთის მოკეტულ-

1) Brockhaus' Konversations — Lexikon
 Epos.

*) ის. „გვალის“, № 47.



თა ღვაწლის შესხმადიდება. სხვა-დასხვა ხალხთა ეპოსი სხვა-დასხვაობს ფორმითა და შინაარსით; ხოლო ვერსად ვერ ნახავთ იმდენათ დაცემულ ხალხს, რომ, თვით ეპოსი თუ არა, მისი მზგაქცია რამ, მისი ძირითადი კილო არ ჰქონდეს რამენაირათ გამოთქმულ-გამოცხადებული. ეპოსი—ერის შემოქმედებითი სიტყვა, მისი სულის სარკვე ყველგან: შუა ერის სულიერი შინაარსი, მისი ზნე-ხასიათი, მისი გრძობა-მისწრაფებანი, მისი რჯული და „მრწამსა“ ცოცხლათ გამოხატული. და, როგორც ორ ისეთ ადამიანს ვერ ნახავთ ვერსად, რომ მათი გულები ერთ კილოზე ძვრდნენ, ისე ორ ხალხის, ერის სიტყვიერებას ვერ ნახავთ ყველაფერში ერთმანეთის მზგავსა.

ეპოსის განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ხალხთა ხასიათის მიხედვით, აგრეთვე თავისი გვარით: ეპოსი ზღაპრული, ისტორიული, საოლო-ბო, რელიგიური—სარწმუნოებრივი და სხვ. ყამთა მსგელობავთ თავის შესაფერ ეპოსს შექქენის. პირველათ ჩნდება ეპოსი ხალხური და ამ ეროვნულ ნიდაგზე ყვეის შემდეგ ეპოსი ხელოვნური. უმაღლეს ეპოსში ეს ორი გვარი შეერთდება შესისხლბორცებულია. ამის დიდებული მაგალითებია ჰომეროსის „ილიადა და ოდისსეი.“ ხალხის შემოქმედების ხასიათი უშინდესათ არის დაცული ამ საუცხოვე გამოქმეში და თან ხელოვნების შექითათა განათებული.

თავისუფალ არსებობისათვის მებრძოლი ხალხი—გრძობა-გაღვიძებული, ცოცხალი ხალხია. მძლავრი სული-ყვეთბა უღვიძებს ადამიანს გულში ღვითურ ნაწერწყლს. იქ, სადაც სიცოცხლე მოღვინებულია, ადამიანის გული მკვდრული ძილით არის პყრობილი. მხოლოთ მძლავრი გულის წადილი, აღტაცებული სულის მისწრაფება შექქენის სრულ ადამიანს.

პოეზია—წმინდა წყეთია, გულის საესე ფაოლით ცხოვრებაში გაღმარადნი. პოეზია, ვით სიტყვა, გულის ღაღადისია. აღშფოთებული გული ვერ დატყრება, სანამ თვის მღელვარებას ბავთ არ გამოათქვიენებს. თვითეული ადამიანის გული მთელი ერის გულის სარკეა, ერი, როგორც ადამიანი, არ სდუმს, თუ გულში ბევრი აქვს სატყველი. ეპოსი—სიტყვა, მღელვარე გმირი ხალხისაგან აღმონათქვამი. გმირბუღალდა ღვაწლით არის ხალხური ეპოსი საესე, რადგან ისინი არიან ერის მაგალითი, ხალხის იდეალი. ხალხი ისე შეყურებს მისი ეროვნული თავისუფლების დამცველს, როგორც განათლებული კაცი მთელი თავისი ცხოვრების მიზანს. ცხოვრების მიზანი, ნათლათ შეგნებული, უშრეტ სინათლეს მკენს ადამიანის სიცოცხლეს სიკვდილამდე. გმირის ღვაწლი ნათელი კანდელია ერის ცხოვრებაში. გმი-

რი იცავს ხალხს ტყვეობისა და გადაგვარების საზარელ წყედლისაგან, დამოუკიდებელ ცხოვრებას უმკვიდრებს ამ წუთი-სოფელში და ამიტომ გმირი, ხალხის თვალში, კვეყანაზე ღვთის მოადლევა, განგების განხორციელება და ხალხური პოეზია, ეროვნული ეპოსი, სულ ამ გმირ-მაცხოვართ დასტრიალებს და თავს ეგვებს თავ-მოწონათა და ღრმა სიყვარულით. გმირთა შესხმა-დიდება საუყუნოობით ცოცხლობს ხალხში. ეპოსი—წმინდა ხალხური მგონების შემოქმედება, მთელი ხალხის სულიდან აღმოცენებული, მთელი ხალხის საკუთრება. „ცოდე ჰანგებს, რომლებიდან შედგება ხოლმე თანდათან ხალხური ეპოსი, ხალხური მღერალ-მგონების შექქენიან და თავისი მშობელი ერის ცხოვრებაში ისტუმრბენ. აქ, თავის ხალხში, გროვნული ჰანგები ათასნაირ ცვლილებას გამოივილიან ხოლმე. თვითეული ხალხის შეილის ბავთ თავის დაღს ასევეს მამა-პაპათავან ნაანდრდე ჰანგსა და ისე გადასცემს ხოლმე ვარშემო ცხოვრებასა და შემდეგ მოდგმათა. ამნაირათ ხალხური ჰანგი თანდათან წმინდა ეროვნული შინაარსისა და სიცოცხლის თესება და წარმოადგენს მთელი ერის სულიერ საკანძღის. შიგ გამო-სახულია ხალხის გრძობა და ფიქრი, ნატერა და ოცნება, იმედი და გულის რწმენა.“

გმირ-რანდული ჰანგები ხალხის გაღმოცემაში შეერთ-შეგაფულებიან ხოლმე უწარჩინებულეს გმირთა შესხმა-დიდების ირგვლივ და ამნაირათ ჩნდება ერეკლი ხალხური მოთხრობითი პოეზია—ეპოსი*. ხელოვნური ეპოსი კი ერთი ვანცალკეებული ადამიანის ნიჭის ქმნილებაა. ხალხური ეპოსი ამ შემიხებებაში მხოლოთ მასლობა, რომლით გენიოსი თავის ბრწყინვალე შენობას ააყებს და თავისი საკუთარი კანდელით გაანათებს ხოლმე.

რა ხასიათის ეპოსია ეპოსი ევაფ-შეველა—რაზიკაშვილისა? ამაზე ჯერ-ჯერობით, სანამ ერთ-ერთ მის ქმნილებას არ გავარჩევთ, ვადაპირილ პასუხს არ ვიტყვით. ევაფს ნიჭი განსაკუთრებით მის პოემებში¹⁾ გამოიხატა და მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუში, ჩემის ფიქრით—პოემა „სტუმარ-მასპინძელი“, სხვებზე უფრო დასრულებულ-შემუშავებულ სურათია.

ევაფ 1881 წელს მორთო თავისი პოეტური

1) „გოგოთურ და აფსის“, გ.წ. „ივერია“, № 181 1887 წ.; „აღუ და ქეთულური“, „ივერია“ № 262 და შემაქვა 1888 წ.; „ეთერი“, № 192—197, „ივერია“ № 1890 წ.; „პასტრონი“, „ივერია“ № 29 და შემაქვა, 1892 წ.; „სტუმარ-მასპინძელი“, „ივერია“ № 146 და შემაქვა 1893 წ.

ჩანკი და 1893 წელს ეს უქანასწრელი პოემა, „სტუმარ-მასპინძელი“, შესძინა ჩვენ მწერლობას 2).

ღამის წყვდიადში ჩაფლულია
გამტანარბუღლის სასიათ,
მოჩანს ქისტეთის მადამო
სადის კლდეების ტანტითა,
პნელს ხეზე მოჭყეფს მდინარე,
გულ-ამღვრულია უჯრითა.
გაღმოსრდიტყენს მთანიცა,
ხელ-პირს იბანდენ წყალზედა;
პეკრი მომკვდარს მთ შვერდზე:
სისხლს გერ ისდენენ ტანზედა.

ასე იწყებს ენა თვის „სტუმარ მასპინძელს“, და, როგორც საოპერო მუსიკის ინტროდუქცია, ისე ეს შესავალი იღუპალათ გვაგონობინებს მთელი შემდეგი პოემის ძირითად, „ნაღვლით ნაქარგს“ კი-ლიასა. თითოეუ მწუხარების ანგელოზი აღზდა ჩვენ თვალწინ, ფრთები გაშალა და პოემის შესავალი დაწრილა.

კლდეში ვიწრო ბილიკზე გამოჩნდება ვილაც უქნობი მგზავრი; მოდის ვაჭირებით,—

ფასს ძღვეს ანადებს ფეხზედა.

გაღმა ჩანს ქისტის სოფელი,
ანწივის პუდეკსათა:
სამო აწის სატყქრდათ,
დაბის უბესათა.
სოფლის თაქს სძინავს შვე ნისლსა,
დაფიჭრბუღლის სასიათ.
ეუწს უგდებს რე-მარესა
გულ-ღაღამს სანასათა.

ეს არის პირველი სცენის დეკორაცია, პოეტის კლამით დახატული მითანი ბუნება.

ნელთ მომავალ მგზავრს რაღაც ხმაურობა ეს-მის. ვიღამაც ზევილან კლდის ლოდი ვაღმავარა. აღბათ მტერია, და მას მარჯეთ დახედრა უნდა. მზათ არის თოჯი... ერთა წამო... და გღმა მეორე მგზავრი გამოჩნდება, იმასაც—

უწრწინავს საღტე თოფისა,
კით წემის გვრი დაღათა.

„ვადმერბანენ“ ერთმანერთს. ორივე-მონადი-

2) „სლადტარბუღო მამოსაღვ“, გ. ეფემიძის ფურ. „მომამე“, № II, 1896 წ.

რენი არიან. სამტერო—საცილომელი არაფერი: აქეთ-გაბებს ძმური საუბარი. ერთმანეთს თვის თავ გადასავალს ენებინან. ბეერი მწარე ღლე, ბეერი გავირ-გება გამოუელია ამ ორ მთის შვილს კლდის ნა-ღირთ დენვაში; ბეერი შავი ნისლები გაურღვევით ლომ-მკერდით და ხეებში ამ ნისლთა მრისხანე შვილებს, ნიაეთა „მშვიერ-მკლური ღმუილი“ მოაუსმე-ნიათ. რამდენი მათგან დამურთხალ-გადაფრენილი ჯიხვის რქა „ესმოდა კლდეებს!“ აი ერთი მოკლული-ცა,—და მონადირემ უჩვენა თავის ამხანავს ჯიხვი რქიანი,—

მკვდარი, რქა-გადაგდებული,
დაღუბებული, ჭკვიანი.

სიკვდილმა უქნა ეს კლდის ჯიხვა „გუნება-მძიმეს“; თვისი იღუმალი დაღი დასვა და „დაქუ-ვიანა“.

ჯოკოლა ევატიცება ნუნუას თვის საფელში, თვის სახლში ღამის გასათევით. ნუნუამ დამალა თვის ნამდელი სახელი „ზეიადურის“, რადგან მას კარგათ იცნობენ ქისტები, როგორც თვის მოსისხლე მტერსა; ბეერ ქისტს ავლა მან სისხლი, ბეერს მოაჭრა მძლავ-რი მარჯუნა.

ჯოკოლა აღბსტაიძე ამაღამ ნუნუა-ზეიადურის მასპინძელია. აი შავთ გამოჩნდენ სოჯლის კოშე-ბი, მოსმა ძაღლების ევევა და მონადირე — „სტუმარ-მასპინძელი“ ბინაზე მივიდენ. ჯოკოლას სახლით ის-მის ჩონგურს ეღერა. „დროული“ კაცო ზის ცეცხ-ლის პირს, უკრავს ჩონგურსა და გმირულ ჰანგებს დამტერს.

აბალ-მოსულთა და დაღალულ სტუმრებს და-უხედება და გაუმასპინძლდება ჯოკოლას ღამაზი ცოლი. ჩონგურის დამკრელი, ქალარა-შერთული მღერალი, წამოდგება ფეხზე, „როგორც კლდის ევე-ბი ძლიერი“, მაგრამ, ზეიადურს რომ დანიხანავს, მკლის ფერი დაედება“ და „ხანჯლისკენ ხელი მიუღის“. მთიული, სხვის სახლში სტუმარი, „ვერ გაშლის ხა-თაბალასა“. მოხუცი გულში ხელს ჩაიკრავს, ჩუქათ ვადის გარეთ, კარიკარს დაღის სოფელში, „ეწასა ღლსავს შხამითა“ და ყველას ატუობინებს საზარელ ამბავს: ჩენი სოჯლის შვილმა თვის უბეში ჩენ ამომგდებ გესლიან კველს მისკა ბინაო. აღეღვა მთელი სოჯული. ქისტეთში წესია, თვის მკვდარ-მოკლულის მისი მკვლელობის თაქ უნდა შესწირონ, მკვდრის საულავზე უნდა დაქვან.

მთელი სოფელი შეიარაღებულია და პირველთა ჯოკოლას სახლში მხეტრეე — „მოკურიაღვ“ გზე-

ნის, „ლიტარდიანის ერთა“, მან უნდა ნახოს, სად დაუდგმენ ზვიადურს ლოგინს და სოფელს უნდა შეატყობინოს.

o. ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება)



სხვა-და-სხვა ამბავი.

ავიკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უშუამდგომლობა, რომ ამერ-კავკასიის უმაღლეს მთავრობამ შეწყვიტა აღმოუჩინოს, წლიურათ 1000 მან., მომავალ ხონის სახელოსნო სკოლის შესანახათ. როგორც „ნოვ. ობოზ.“-ის გაუგია, ეს თხოვნა შეუწყნარებიათ. ამ სკოლის შენობის გასაკეთებლათ 4 საზოგადოებას, სახელობარ: ხონის, ნახახუტევის, განიჩის და კუბისას უცისრნათ 11,800 მანეთის გადაბდა. ხოლო წლიურათ კი უნდა იხადონ 1735 მან.

* *

„თბილისის ფურცელს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: „Привит. Вѣст.“-ი საყოველთაოთ აცხადებს, რომ, რადგან თოვლის და ზეაგების გამო მთებში, კავკასიის სამხედრო გზაზე მიმოსვლა შეჩერებულია, თბილისიდან 18 და კავკიიდან 19 ნოემბერს გამოსული ფოსტა გზაში გაჩერებული და თოვლი და კორიანტელი არ შეწყვეტილა, ამიტომ განკარგულება მოუხდენიათ, რომ ფოსტა ბათუმზე და ნოვაროსისკზე იგზავნებოდესო.

* *

თავ. ზაქ. გ. ერისთვის წერიალია დაბეჭდილი „ნოვ. ობოზრენიაში“; იგი ურჩევს ჩვენ თავდაზნაურობას: „გაპართონ „თეთი დამმარებელი თანხა“, როგორც, მავალითათ, გაუმართეთ ჩერნიგოვის გუბერნიის თავდაზნაურობას, რომელსაც დღიურზე თავიანთ ნება-ყოფლობით დაუწინავეთ გადასახადი, ჩვენ-შეიც ამაჰმის მოწყობა უნდა იკისრონ თეთი თავდაზნაურობის წინამძღოლებმა. ეგელა მენამულემ უნდა ნება-ყოფლობით გამოვიღოთ ჩვენი წელილი, თუნდ თითო მანეთი წელიწადში და რადგან თბილისის გუბერნიამ ითვლება 100 ათასი სულდი, მაშასადამე წელიწადში შემოვა 100 ათასი მანეთი და გაკვირებს დროს ეგელა მემამულეებს შეეძლება უსარგებლოთ

შეწყვიტოს მიღება დროებით, ზოგიერთს მიეცემა სრულებითაც. რადგან, (ისქენს თავ. ზ. ერისთავი, ჩვენი მამულები ჯერ ყველა გამოქნული არ არი, და ბანკში დაგირაგება მემამულეს სზირათ ცარიელზე სეამს, ეს მოუტანს დიდ სარგებლობას ჩვენ მემამულეებს“. აქ უნებლიეთ მოგვგვანდა გორის მაზრის სათავადაზნაურო ყრილობა ამ რვა-ცხრა წლის წინეთ, როდესაც უნდოდათ შეიღების ასაზრდელათ შეედგინათ თანხა და როგორ დაიფრინეს ამ საქმის მეთაურები.

* *

მოვავანებთ ჩვენ მკითხველებს, რომ ქალაქის მამულზე დარჩენილი გადასახადის (недоимки) შეტანა დაჩქარონ, რადგანაც საქალაქო ამოპრჩეველთა სის შედგენას მომავალი იანერის პირველ რიცხვებიდან შეუდგებია; შესაძლებელია, რომ ვისაც დარჩენილი გადასახადი შეუტანელი ექნება, ეს მიზეზათ ხელთ ედგან და ჩვენი მემამულენი ამ სიაში არ მოაქციონ. ამას წინეთ ჩვენ დავსტამებთ „ეკლში“ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება იმის შესახებ, რომ საქალაქო არჩევნებში იმ მემამულეთაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა, რომლებზედაც გადასახადი დარჩენილია. მაგრამ ვინ იცის, ჩვენი ქალაქის დღევანდელი გამგეობა როგორ იხელმძღვანელებს ამ განკარგულებით. ყოველ შემთხვევაში საქჩიოა, რომ თეთი ქალაქის გამგეობა ოპოციუალურათ აცნობდეს ქალაქის მემამულეთ, თუ როგორ ესმის მას მინისტრის განკარგულება და მაშინ ყველასათვის აშკარა იქნება, თუ რა საშუალება იმაროს ამოპრჩეველმა საზოგადოებამ. კარგი იქნება აგრეთვე ისიც, რომ ვინმე მემამულემ ცერძოთ გაიგოს ამ საქმის ვითარება ქალაქის გამგეობაში, და თუ ამ უკანასკელს მინისტრის განკარგულება სხვა ნიერათ ესმის, იმ შემთხვევაში იმევე ცერძო კაცმა სხვებსაც აცნობოს ეს გაზეთის საშუალებით.

* *

ერთი თვეა რაც დიწყო სამხური დრამატული საზოგადოების წარმოადგენები. ამ ცოტა ხანში წარმოადგინეს 4 მოქმედებიანი კომედია, ნათარგმნი კარგი ნით „ტორიოლა“, მაგრამ ხალხი ცოტა დაესწრო. საზოგადოთ თეატრი ცარიელია ხოლმე. 10 ქრისტეშობისთვის დანიშნულია ბ-ნი ოპანიანის ბენეფისი. უნდა წარმოადგინონ ბ-ნი გუნიას დრამა „და-მა“ სომხურათ ნათარგმნი.

გავ. „ნოე. ობოზ.“-ას ატყობინებენ ბათუმიდან, რომ ნაეთის წარმოების საქმე სუფსის მახლობლათ ულ უფრო და უფრო წინ მიდისო. სადაც კი სცადეს ნაეთის ამოჩენა, არსად არ მოტყუებულან. ამ ქვათ ნაეთის წარმოების საქმე უკვე დაწყებულია სხვა-და სხვა კაპიტალისტების მიერ. სხვათა შორის, ამას წინეთ ბ. მანთაშვასაც აუღია იჯარით მიწა სადგურ ნაჭანების მახლობლათ ამავე მიწიწით.

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდან პატარა წიგნაკი სათაურით: „საზოგადოება ცეცხლისაგან შენობების უზრუნველ-მყოფელი უზრთიერთ შორის და მისი უპირატესობა აქციონერულზე (ქუთათურების საყურადღებოთ) სტ. ხოჯიგანაშვილისა. დაბეჭდინა გამგეობამ ქუთაისის შენობების ცეცხლისაგან საურთიერთოთ უზრუნველ-მყოფელის საზოგადოებისამ“. ეს წიგნაკი ძლიერ საინტერესოა და მიუხედავთ უზრუნველათ შედგენილი სათაურისა, ყველა დიდი სიამოვნებით წაიკითხავ; მასში განმარტებულია ცეცხლისაგან დამწვევი საურთიერთო საზოგადოების უპირატესობა აქციონერულ საზოგადოებაზე და აგრეთვე მოყვანილია ცნობები ცეცხლისაგან დამწვევი საურთიერთო საზოგადოებისა ქუთაისში.


ბათუმის ქარხნებში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა გამო დამოქნის დეპარტამენტს დაუდგენია შემდეგი: 600,000 ფუთ განზრახ-დაფარულ თუნუქაში გადახდებინოს ჯარიმათ თითო ფუთში 1 მ. 5 წ კოპოკით. აგრეთვე გადახდებთ ჯარიმა შინაურ ბაზრებზე გაყიდულ თუნუქისათვის. ეინიცობაა, თუ მექარხნებმა უარი განაცხადეს ამაზე, იმ შემთხვევაში იმათ ქონება ასწერონ და საქმე სასამართლოში გადასცენ.

ამას წინეთ თითქმის ყველა ადგილობრივმა გავრეთებმა აღუწყეს საზოგადოებას, რომ კანეთში იქაურ ექსპერტს, ბ. სპენსერს, ვაზებზე შეუქმნევია ერთგვარი ავთოყოფობა, რომელიც თავის თვისებით ძლიერ წაგავს ენახების მეტათ საშიშარ ავთოყოფობას ბლეკ-როტს (შავი სიღამაღე, черная гниль). დასაწმუნებლათ იმის, რამ ეს ავთოყოფობა მართლად გაჩენია ჩვენებურ ეენასს, საფილოკსერო კამა-

ტეტის მიერ ვაგზაწილ იქნა კანეთში უფროსი ავრონომი, ე. სტაროსელსკი, რომელიც ჩვენში ყველაზე უფრო მკოდნე პირათ ითელბა ამ საგნის შესახებ. ბ. სტაროსელსკი ხსენებული ავთოყოფობის გამინჯვას შევდევ სრულიად უარ-ყო ბ. სპენსერის აზრი და მასთან ბლეკ-როტის არსებობა კანეთში. საექუო სენით დახანებული ყურძენი ვაუგზაწილს ცნობილ სპეციალისტებს საურაწევთში და იტალიაში.

ერთი ამთვანი, პროფესორი ვიდა, კანეთიდან ვაგზაწილი ყურძნის ვაწინჯვას აი რა დასკვნადის მიუყვანია: „ჩვენ ამ კვირაში (ნოემბრის დასაწყისში) მივიღეთ კანეთის ეენახებიდან ყურძნის მტყენება, რომლებზედაც დამწვიფებას დროს შეუქმნევით საექუო სენი, რომელმაც დიდათ დაამინა რუსეთის მევენახეები, რადგანაც ეს ავთოყოფობა უეჭველათ ბლეკ-როტია. ბლეკ-როტი ვაწინჯულ ყურძენზე ექვს მხოლოთ იმითამ ბადეს, რომ ყურძნის მარცვლები ისე დამქწარი, ვაწმარი და ვაწვებული არ არიან, როგორც ეს იცის ჩვეულებრივთ ბლეკ-როტმა, არამედ მოწითალო ფერი იქვთ და ამასთანავე არც ისე ვაწმარი არიან. მაკრამ მიკროსკოპიულ ვაოკვლევათ დაეენახება, რომ ეს ავთოყოფობა სწორეთ ბლეკ-როტია, რომელიც რუსეთში დღეს პირველთ აღმოაჩინეს“. („Revue de la Viticulture“ 14 ნოემბრიდან).

პროფესორ ვიდას აზრი მეტათ საინტერესოა. 23 ნოემბერს ვაგანებო სხდომაზე ბ. სპენსერს უნდა წაეკითხა ვეცელი მოხსენება ამ საგნის შესახებ. თავის დროზე ჩვენ წარუდგენთ მკითხველებს რაგორც ამ ავთოყოფობის დაწერილებით აწერას, ისე იმ ზომებს, რომლებსაც საზოგადოათ ხმარობენ მის წინააღმდეგ.



„კელოს“ კორესპონდენციები.



ათუმა. „არ მომკვდარა, მხოლოთ ძინავს“ ბათუმის ასე წოდებულ ინტელიგენციას და „კრადის ვალიდობებს“, იმისი რა მოვახსენოთ. ძინავთ ბათუმლებს ვანაკუთრებით საზოგადო საქმისათვის. პირადი ინტერესისათვის და თავიანთ ჯიბისათვის ჰაი, ჰაი, რა ფიზიკონი არიან ბათუმლები! ამ გვართ ბათუმში, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიაც, საზოგადოებას ინდივიდუალიზმი (ცალ-ცალკეობა) აშარტებს, ეს აზრი იმდენათ ჭეშ-

მართია, რომ „ხელის-ხელ საგომანებლათ“ შეიქმნა, დაძველდა და გაკლდა.

ბათუმში ყველაფერი მოიკითხეთ, მხოლოდ გონებრივ საზრდოს, ესტეტკურ სიამოვნებას, ნუ დაუწყებთ ძებნას. ვგ დროს — ცუდად დაკარგვა იქნება. აქ, ქალაქის შუა გულში, მრავალა სახლები, სადაც ბუღებენ „დაკარგული არსებანი“, მრავალი სამიკრონი და სხვა ამგვარი გასართობი ადგილები. სამაგიეროდ აქ ერთ სამკითხველოს, ერთ წიგნთ-საკაცს ვერ იპოვით. ვერ იპოვით, რადგანაც არ არის.

როგორც დარწმუნებით ვიცით, აქ ამ რამდენიმე წლის წინათ, სამკითხველოს გახსნისათვის შევაგროვეს ექვსასი მანეთი და წიგნები, ამ საქმის მეთაურობა რამდენიმე აქაურ ქალბატონს და ერთ მდივანს ჩაბარდა და მას აქეთ ჩაჩუმდა ბათუმის სამკითხველოს საქმეც. ვისაც ვკითხებ, ვერაინ ვერ მიპასუხა, თუ როდის გახსნიან ბათუმში სამკითხველოს. ამბობენ, „არ მომკედარა, მხოლოდ ძინავს!“ ნეტავ, როდის გაიღვიძებს?

ამსამადაში კი ბათუმის აუარებელ მუშა ხალხს და თეთი ინტელიგენციასაც (sic) არავითარი ღირსიძება არა აქვს, რომ სადმე რამდენიმე სტრაქონი წაიკითხოს, თუ საკუთრებათ არ იშოვნა წიგნი. ბათუმში ორი წიგნის მაღაზია, მაგრამ ორივეში წიგნების სია ძლიერ მცირეა. ბევრიც რომ იყოს, რა გამოსადგება? მდებია ხალხს წიგნის ყიდვის შეძლება არა აქვს და აგრეთ წოდებული ინტელიგენცია კი „გემუფტის“ საფაქრო საქმეს გარდა არაფერს დეძებს.

ესტეტკოსაც არ წყალობს ბედი ბათუმში. შემოდგომას აქ უკრანელთა არტისტული დასი მართაოდ წარმოდგენებს, მაგრამ ეს დასი ძლიერ სუსტი იყო. ახლა ჩვენი „კრინის თეატრი“ ცირკათ დააკეთეს და თბილისიდან „სური“ ჩამოვიდა. სრული იმედი გვაქვს, რომ ბათუმელები ცირკისა უფრო-ბევრითი სტუმრები იქნებიან, ვიდრე თეატრის.

იშვიათათ და ძლიერ იშვიათათ ჩვენ ქალაქს ესტუმრება „გზათ მიმავალი“ რომელიმე გამოჩენილი მსახიობი, როგორც, მაგალითათ, გასულ კვირებში ჩამოფრინდა ბათუმში „ამერიკის ბულბული“, „იქიკტიკა, გვალბინა“ თავის ორი კონცერტით და გაუდგა გზას.

კვირას, 10 ნოემბერს მსახიობმა ს. ხარაზიშვილმა მიიხრა: თუ გინდა, წამალს, ნოქრების წარმოდგენას დავეწროთო. მე და ბ. ხარაზიშვილი წავედით ქალაქს გარეთ, ბარცხანაში, სადაც ნათის ქარხნებია გამართული. აქ რამდენსამე ნოქარს დაუქირა-

ვებიათ ერთი ძველი შენობის ზეთი სართული. (ქვემო სართულში ორი მიკიტანი და ერთი ფურნა). „თეატრის პარტერი“ გახლავთ მოზილი ოთახი. შიგ უბრალო ხის სკამები აწყვიდა; მეორე პატარა ოთახის ფიტრის კედელი გამოღებულა და ჩითის ფარდა არის ჩამოფარებული. არც ესტრადა, არც ლეკორაცია, არც სუფლიორის ქუწული არ მოიპოება. უნებლიეთ გამახსენდა შექსპირის ღროის სცენა, რომელსაც „პროლოგი“ გამოვიღოდა და იტყვოდა: „ახლა, ბატონებო, სცენა წარმოადგენს ზღვაში დღევას, სადაც გემი იღუპება“. განსხვავება ის არის, რომ იმ დროს შექსპირის ღრამებს არდგენდენ, აქ კი გუნის ვოდვეილებს. იქ გენიოსური არტისტები იღებდენ მონაწილეობას; აქ კი ნოქრები და მათი ცოლები.

მაგრამ, რაც იყო და იყო, მაინც წარმოდგენამ არტისტის ხარაზიშვილის დახმარებით, იმდენათ გეგონათ ჩაიხარა, რომ საზოგადოება (ქარხნის მუშები) არ დარჩა უმადური.

მიიხრეს: ეს მეორე წარმოდგენა არისო. პირველ წარმოდგენას 160 კაცი დასწრებია. ახლა 80 იქნებოდა. ცხადია, რომ გამართულ წარმოდგენებს ბევრი ნაკლი ჰქონდა. მაგრამ რა ჰქნან გამოუცდელმა ნოქრებმა? საჭიროა, რომ ბათუმის შეგნებულმა „მეწილე-კაცებმა და მანდილოსნებმა (ამბობენ, ბათუმში მოიპოებიან ამისთანები) მიიღონ ამ კეთილ საქმეში მონაწილეობა.

მაგრამ, როგორც მოვახსენეთ, აქაური ინტელიგენცია „არ მომკედარა, მხოლოდ სძინავს!“

როდის გაიღვიძებთ, ბათუმელებო?!. მიიღოდა ქალაქის მმართველობაზედაც მეთქვა რამდენიმე სიტყვა, მაგრამ, როდესაც ამ საგანზე, ჩვენდა საუბელუროთ, ზოგიერთი მეგახეთები ბევრს მართალს ლაპარაკობენ, იქ ჩვენ რაღა გვეთქმის!

გ. ს.

* * *

ოკრება (ქუთაისის მახრა). ამდენი ხანია ჩვენ ტურნალ-გაზეთობას თვალს ვადვენებ და ოკრებაზე კი არავითარი არ გამოიგონია. ნუ თუ ასე უმინშენელოა ეს მხარე?

ოკრება მდებარეობს ქუთაისიდან, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ და შედგება ხუთი საზოგადოებისაგან. მთელი ოკრება მთა-გორაკიანია, და ამიტომ მოსავალიც ნაკლები იცის, ასე რომ ადგილობრივთ მოყვანილი ჭირნახული ძლიერ იშვიათათ ჰყოფნით აქაურ მცხოვრებთ. ზწირათ ქვემო იმერეთიდან უზიდებთან სიძინდა. აქ უმეტეს ნაწილათ მოყავთ ღომი და სიმინდი. ზოგიერთ სოფლებში თიხის ქუჩქელ-

საც აკეთებენ. კურსებელი კეცი და ოკრიბელი ღოზში განთქმულია ქუთაისში; რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ამ მხრით კი, გვანებ, უკანასკნელი ადგილი უნდა ექროს ამ მხარეს მთელ საქართველოში. ასევე ითქმის ზდილობიანობაზედაც. ახლა რაც ტყეებში რკინის გზა გაიყვანეს და სხვა-დასხვა ხალხის მიმოსვლა გაიზარდა ამ მხარეში, ზოგიერთებმა წაბაძვიტ ცოტ-ცოტათი შეითვისეს თავანობა; მაგრამ დღემდისაც სწავლის შეძენის სურვილი მცხოვრებელბს სრულიად არ ეტყობათ. სულ ამ ხუთ საზოგადოებაში არსებობს ერთათ-ერთი სამინისტრო ერთკლასიანი სკოლა, სადაც ამ ყაზთ მე თქენი უმორჩილესი მონა ვიძყოფები მასწავლებლათ, მაგრამ სკოლა, რომელიც მთავრობას ძალდატანებით გაუხსნია აქ, ისე არ უყვართ მცხოვრებლებს, როგორც ურიას ღოზი. იშვიათია, რომ ამ მასწავლებელში უნი ორმოცმა შევირდმა ერთათ მოიყაროს თავი ისიც ზამთარში, თორემ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ვის ცალია სკოლისათვის. მუშაობის დროს განა სწავლისათვის ბავშვის მოცდენა შეიძლება! ზოგიერთები პირობასაც თხოულობენ მასწავლებლისაგან: თუ ამ სამ თვეში ჩემ შვილს ყველაფერს ასწავლი, სკოლაში სიატულს დავაწყებინებ, თუ არა და მერე ვერ მოვიცილია.

ახლა ამინდზე და მოსავალზე მოგახსენებთ ორი-ოდე სიტყვას. შარშან, თუ სადმე ზამთარი იყო, აქ იყო: თაველი შვიდი არშინი მოვიდა, ბევრა მგზავრი იხსხვერაბლა თავლის ზეაგმა. წელს მოსავალს კაცი არ ელოდა, რაკ თესვა გვიანი იყო; მაგრამ, სიმინდის მოსავალმა, როგორც ამბობენ, ბევრ სხვა წლებისას აჯობა, ღომი კი შემოდგომის გამუღმებულმა ქარებმა გააფუჭა ალაგ-ალაგ. მთელი შემოდგომა ხმელი და ქარიანი იყო, რასაც კარგ ტაროსს უწოდებდენ აქაურები რთელისათვის; ღვინოთი ვერც წინეთ მოჰქონდა თავი ამ მხარეს, მარა წელს მინც ხომ სულ მოიპოა.

სოფლის გავი.

ქ. ნახუკანა (ერეენის გუბერ.) სომხები ამ ქალაქს „ჰინ“ (ძველი) ნახუკანას უძახიან. ეს სახელწოდება იმიტომ დაურქმევიათ, რომ მისი აშენება მეტათ უხსოვარ დროს ეკუთვნის. ქ. ნახუკანა მდებარეობს მდ. არაზის (არაქსის) მარცხენა მხარედან ექვსი ვერსის სიშორეზე, ხოლო ერეენიდან 150 ვერსის.

ეს ქალაქი ისტორიულათ შესანიშნავია, თავის ციხით და ნოქს საფლავით (?). როგორც ვაღმოკვამა

ამბობს, როცა ნოე არარატიდან დაშვებულა ძირს პირველათ აქ გაუშენებია ენახი და აქვე ვადაცე-ლილა. მის საფლავათ წოდებული ადგილი მდებარეობს ქალაქზე ცოტა მოშორებით და წარმოადგენს მიწაში ჩაფლულ ოთხ-კუთხიან ქვითკირის შენობას; ამ შენობის შუა-გულ ადგილზე ქვითკირისავე მსხვილი ბოძია; ეს ბოძი სულ შემუქრულია სანთლებით; აქ მრავალი მლოცველები მოდიან.

შესანიშნავია აქაური მიწის თვისება თავისი სიმაგრით. აქ, როგორც საზოგადოთ მთელ ერეენის გუბერნიაში, შენობებს უმეტეს ნაწილათ ტალახისაგან აკეთებენ. ეს ტალახი ისე მაგრდება, რომ ქვითკირს არ ჩამოუფარდება. წინეთ ცინებსაც ამ მიწით აშენებდენ, ესენი ახლაც ისე მაგრათ არიან, რომ წერაქვითაც ძნელათ დაინგრევა.

მოსავალი წელს აქ ყველაფერისა კარგი იყო. ეს მოსავალი ჩემის აზრით ერთი-ორათ გოარკეცებოდა, როგორც აქ ისე საზოგადოთ ერეენის გუბერნიაში, რადგანაც სარწყავი და უმისოთაც ნოყიერი მიწა ხელს უწყობს ამას, რომ რეიანი და გონიერული მიწის შემუღმება იცოდენ აქაურებმა.

აქ არის რამდენიმე ქარხანა ანუ უკეთ რომ ეთქვათ სამღებრო, სადაც თერთ ჩითეულობას სხვადასხვა ფერად საღებავებით, ადგილობრივი გემოვნებისამებრ, აქრელებენ, რომელსაც ხმარობენ აქაური „მზეთ-უნახავი“ ქალები. საკირველია ამათი ძველი დროის ერთი ჩვეულებათაგანი: თავ პირზე ჩამოფარებული აქეთ მუხლებამდის: ხოლო იმას ქვეით კი მისიგან დამწვარ-გაშავებული კანი მთლათ უჩანთ!..

ტარ. ჭობარული.

ი ა ხ შ ი ო ლ .

ალავერდის პასუხათ

გ. ლ. კ. — მეს.



ასშიოლ მძე, მექ ქართველურათ ბეტლეი პასუსათ აღდაკვრდის, ასე ჩვეუათ იმათ ქველ დროში, ესევე ტბილ ხმათ გვესმის დღემდის.

ეს ორი სიტყვა ამ დროს გუგონეს, ოდეს ქართველეს ქქონათ მოიპა

იმან ისაროს, მე ჩემ სიგოცხელს
მას განგებულე, ღამიჭადა.

აღლაგერდი თქვი, მეც ახსოვდა,
უნწ-სარფეშა დავატრიალოთ
და ზოგაერთებთ გულ-გასკმირათ
ტყვილი სუფრული ჩავატრიალოთ!..

დვი, ღაგვინან იმ ბატონებმა,
ღვინვის დირსნი ვინც თვით არიან,
ჩვენ მივამუროთ იმ ქმინდა მისხსს,
სითაც სულს და გულს მიუსარინა!!!

რუს-იმერული.

ყ ც ხ ა ე თ ი დ ა ნ .

სოფელი და სასიფლოო სკოლა გერმანიაში

II*)

ს კ ა ლ ა .

სწავლის გასაგებლებელი სკოლის დანიშნულებად მოწაფეთ არ დაეიწყებინოს სახალხო სასწავლებელში შექმნილი სწავლა-ცოდნა და ამასთანვე მისცეს ახალი ცოდნა პრაქტიკული ცხოვრებისათვის. სწავლის საგანია: საღმრთო რჯული—10 საათი (წელიწადში), თხზულება—20 საათი, ანგარიში—20 საათი, რეალური საგნები—30 საათი.

თხზულების საგანია: ბარათები, თხოვნები, პირობის წერილები, მოწმობა—კვიტანციები, ყიდვა-გაყიდვის, დაქირავება-გაქირავების ხელ-წერილები, სესხება-გასესხება, ექილის ქაღალდები და სხვ. ყველა ამგებში ისე უნდა გავარჯიშდეს მოწაფე, რომ შემდეგ, საქირაობის დროს, თითონ შეადგინოს და მით „მოსე მწერლები“ მეტ ბარგათ გახადოს. ანგარიშის საგანია: მოკება-წაგება პროცენტების გამოთვლა, საანგარიშოები შესახებ მიწის ზომის, გაყოფა—განაწილებისა და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით ყურადღება მიქცეულია დაზღვევის საქმის შესწავლაზე. გერმანიაში არსებულა სავალდებულო დაზღვევა წინააღმდეგ სიბერისა, დასახიჩრებისა, ავთმყოფობისა

და სხვ. თითოეული სრულ-წლოვანი მუშა-კაცი ვალდებულია თავის შემოსავლის დაწესებული პროცენტი დასაზღვევ კასაში შეიტანოს, რომ სიბერის, ავთმყოფობის, დასახიჩრების და სხვა დროს მუქთი შეშწეობა მიიღოს. ამისთვის მან უნდა იცოდეს სად, როდის, ან რამდენი შეიტანოს, რანაირ კვიტანცის მიიღებს, ან რანაირი უნდა მისცეს, თავის შემოსავლის პროცენტები გამოთვალოს და სხვ. ერთი სიტყვით, მან უნდა იცოდეს დაზღვევის მთელი სისტემა. ამის გაცნობა და საფუძვლიანათ შესწავლა სწავლის გასაგებლებელ სკოლაში წარმოებს. აქვე სწავლობენ დათორის წყაყენას და საეპრო საანგარიშოებს. (მართვი ბუხვალტერია).

რეალური საგნებია: ისტორია, გეოგრაფია, მეურნეობა და სხვა-და-სხვა სააღებ-მიცემა ხელობა. ისტორიის სწავლა მდგომარეობს ეიურტემბერგის და ვერმანიის პოლიტიკურ წყობილების გაცნობაში და წარსულის აწმყოსთან დაკავშირებაში, სამშობლოს პოლიტიკურ განვითარებაში და პოლიტიკურ მართვა-გამგებაში. აქ უნდა შეიწავლონ მთავრობის ენაობა და უფლება—მოვალეობა ერთი მხრით, ხალხის ენაობა და უფლება—მოვალეობა მეორე მხრით, თანახმათ ამისა სწავლის პლანია: მთავრობის მხრივ, ვერმანიის იმპერატორი, კანცლერი, მოკავშირეთა საბჭო (Bundsrath), ეიურტემბერგის მეფე, მისი მინისტრები, ვუბერნატორები და მაზრის უფროსები; ყველა ამათი უფლება, მოვალეობა და ადგილი სახელმწიფოში. ამასთანვე შეერთებულია ვერმანიის ვაერთანების ისტორია. ხალხის მხრივ: რეისხტაგი, ლანდტაგი, საბჭო, მოქალაქე, მათი არჩევანი და მოვალეობა. ამასთან შეერთებულია კონსტიტუციის და პარლამენტალური წყობილების ისტორია და მნიშვნელობა. აგრეთვე ეცნობიან სხვა ქვეყნების წყობილებასაც. გეოგრაფიის უმთავრესი საგანია ვერმანია და ვერმანიის წარმოება, მოწველობა, მეურნეობა, ნაწარმოებთა სახელგარეთ გატანა, თუ შეიერთ შემოტანა, ვაჭრობის მიმდინარეობა, კოლონიები, ვადასახლება, ვერმანიის მისიონერები და სხვ. ამასთან შეკავშირებულია ყველა ქვეყნის გეოგრაფია, განსაკუთრებით ევროპის, ამერიკის და აფრიკის.

ბუნების-მეტყველება შეერთებულია მეურნეობასთან და სააღებ-მიცემა ხელობასთან. მეურნეობაში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ შინაური ცხოველები, მათი მოვლა და მოშენება, მეურნეობისათვის სასარგებლო და მავნე ცხოველები, მიწის თვისებები, მიწის სხვა-და-სხვა ნაყოფი, ბოსტანი, ევნახი და სხვ. აღებ-მიცემაში: მანქანები, მანქანების

როლი წარმოებაში. ახალი გამოგონილი საწარმო-
ეო იარაღები და სხვ. აქვე ხატვა და ზომა.

იმდენათ, რამდენათ დრო ნებას იძლევა ჰიგი-
ენასაც გადიან. მთელი ეს მასალა ორი წლის გან-
მავლობაში უნდა იქმნეს შესწავლილი. გაცვეთილია
სალამოს, რისთვისაც ამ სკოლას ხალხში უწოდებენ
„ვაშროსის საღმის სკოლა“ (Vinterlandschule).

უკანასკნელი ორი საგანი იცლებენ თანახმით
ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებისა. აკ-
ნობენ წარმოების იმ დარგს, რაც თავის სოფელშია
და რაც მკიდრთ აინტერესებს. იქ სადაც ღვინო არ
დგება, ეენახვე საუბარი ფუჭია. აქ ითვისებენ, რა-
საკვირველია, ელემენტალურ ცნობებს და არა და-
წერილობითს, სპეციალურს. სპეციალური სწავლისა-
თვის საჭიროა სპეციალური სასწავლებელი, რომლის
გახსნა საზოგადოების საქმეა. ხაზინა აქაც ემხარება.

ასეთი სპეციალური სწავლის გასაძეღვებელი სკო-
ლა ორნაირია: სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველი 1).

სამეურნეო სწავლის გასაძეღვებელი სკოლა ოთხ
ნაირია: 1) სამეურნეო სწავლის გასაძეღვებელ სკოლას-
თან შეერთებით, ამ შემთხვევაში გაცვეთილია რიცხ-
ვი მატულობს და სამეურნეო ნაწილს უფრო დაწე-
რილებით გადიან, ეინფ ზევით მოკვანილი პროგ-
რამა აჩვენებს; 2) საყოფარი სამეურნეო სკოლა;
3) საღამოობით მოზღდილი სისტემატორი კურსი;
4) კითხვის საზოგადოება (Leseverein). ყველა ეს
წარმოებს ზამთრობით, კვირაში ერთი საღამოა მიჩე-
ნილი. მოწავენი, ანუ მსმენელნი არიან 14—18
წლის და 18 წლის ზევით, მოზღდილი ეცაკანი. პირ-
ველნი გადიან მოკლეთ, მეორენი კი დაწერილობით-
მასწავლებელი ამ ადგილობრივი სასოფლო სკოლის
მასწავლებელია ან და რეალური სამეურნეო სასწავ-
ლებლიდან მოწვეული. სოფლის მასწავლებელთა-
თვის დრო-გამოშვებით იკითხება სამეურნეო ლექ-
ციები ჰოპენჰაიმის სამეურნეო აკადემიაში (მტუტ-
გარტთან ახლოს). მასწავლებელი აქ იძენს სამეურ-
ნეო ცოდნას და თავის სოფელში მასწავლებლობს. იქ,
სადაც სამეურნეო სკოლა არის, საზოგადო სწავლის
გასაძეღვებელი სკოლა ისპობა, ხოლო საკვირაო რიე-
ბა. ყველა ეს დამოკიდებულია ადგილობრივ მოთ-
ხოვნილებისაგან.

სამეურნეო სკოლებს ყოველ წელს ათვალი-
ერებს „ზაზრის სამეურნეო საზოგადოების“ წევრი,
რომელმაც აკრონომია იცის და სწავლების ანგა-
როში წარუდგენს „საზოგადოებას“. აქედან კი სამე-

ურნეო საზოგადოებათა ცენტრალურ კომიტეტს ეგ-
ზანენბა.

მეორე ნაირი სპეციალური სწავლის გასაძეღვებელი
სკოლა არის სავაჭრო სამრეწველო. მისი დანიშნულება
მოწავეთა განვითარება ეაჭრობა-მრეწველობის საქმე-
ში. სწავლის მასალა განიყოფება სამათ. I ხატვა: 1)
უბრალო ხატვა, 2) გეომეტრიული ხატვა, 3) ტეხნიკუ-
რი ხატვა. II მეტეორული ნაწილი: 1) სამშობლო
ენა (კითხვა, თხზულების წერა, რაც კი ეაჭრობას
შეეხება), 2) ანგარიში (ზეგარათ და წერით, აგრეთვე
მეტრიკული სისტემა, რთული პროცენტები და სხვ.),
3) დაფთის წაყენა—(Buchführung) 4) ბუნების
მეტყველება. III ეაჭრობა: 1) სავაჭრო მიწერა-მოწე-
რა, 2) სავაჭრო ანგარიში, დაფთარი (ბუხალტერია),
3) უცხო ენები, ეკონომიის ისტორია, გეოგრაფია,
სტერეოგრაფია, ეკონომია და სხვ. ამ ტიპის სკოლის
ეკუთვნის აგრეთვე „ქალთა შრომის სკოლა“ (Fra-
uenarbeitschule), სადაც ასწავლიან განსაკუთრე-
ბით ხელ-საქმეს და აძლევენ ისეთ ცოდნას, რაც
ქალთა ახალგაზღბობას თავის ჩინებას გაუადვილებს.
(აღებულება*).

ამნაირთ ხალხის განათლების საფუძველია პირ-
ველ დაწეებითი სკოლა, აქ შეძენილი ცოდნა განი-
ერდება და მრავალიც ერთის საკვირაო და საზოგადო
სწავლის გასაძეღვებელ სკოლაში. სამივე ეს დაწეგ-
ზულება შეიცავს საზოგადო განათლებას და არის
კანონით სავალდებულო. ორი დანარჩენი—სამეურნეო
და სავაჭრო—სწავლის გასაძეღვებელი სკოლა შეიცავს
სპეციალურ სავანს, გამოწვეულს ადგილობრივი მო-
თხოვნილებით, მკიდრთა ადგილობრივი ნითიერი
პირობებით და მამასადაქე ის ყველგან, ყველა სო-
ფელში და მაზრაში ერთი და იგივე ვერ იქნება.
ამიტომ ამ ტიპის სასწავლებლის გახსნა საზოგადოე-
ბის სურვილზე არის მიშვებული. საზოგადოება, რომ
მელიც უფრო სავაჭრო ასპარეზზე მოქმედებს, სავაჭ-
რო კურსებს ხსნის, თუ მეურნეობს, სამეურნეო სწავ-
ლას ეტანება. პირველნაირი სასწავლებელი უფრო
ქალაქებში და ეაქალაქებულ სოფლებშია. ეს საქმე
ქაუბრ ქალაქებში სამავალითით არის მოწყობილი.
თითოეულ უბანში ქალაქის თითო-მმართველობა სა-
ვაჭრო კურსებს ხსნის, სადაც საუკეთესო მასწავლებ-
ლებია მიწვეული. სწავლის სავანი, ძრიელ ფართო
და ერცელია, მარა ყველა ამავებში უპირველესი ალა-
გი უქარავს ანგარიშს, ბუხალტერიას და ენებს 1).

1) ურავო არ იქნება ნეკეპურ ქალქათა თეთ-
მმართველობამ იქურ თეთ-მმართველობას აქსაქმეში მა-
ინგ წაპაქს, მით უფრო რომ ამს დიდი სარფი არ
ჭირდება.

1) სრული სახელი: Landwirtschaftliche frei-
willige Fortbildungsschule და gewerbliche Fort-
bildungsschule


პროგრამა კი ყველგან ის არის, რაც ზეით მოვიყვანეთ, ხოლო ზოგან ერკლათ ვადიან და ზოგან მოკლეთ. სამეურნეო კურსები კი, რასაკერაეღოა, ასე გაერთელებული არ არის. მეურნეობა ქალაქს არ აინტერესებს და ამ საგნისთვის არც ზრუნავს, რა რაღებაც დღეს ქალაქი ბატონობს და არა სოფელი, ამიტომ სამეურნეო განათლებასაც მეორე ხარისხიანი ადგილი უჭირავს. სამეურნეო სწავლაც კლდეს ეტანებიან განსაკუთრებით შემამულენი. ისენი აღვეყენ სამეურნეო საზოგადოებას და ცდილობენ ხალხში სამეურნეო სწავლა გაავრცელონ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოგვიდგენს პრუსიის „მეურნეთა კავშირი“ (Bund der Landwirthe), რომელიც იმავე დროს კონსერვატიული პარტიის ბუდეა.

რაც ჩვენ ვთქვით სასოფლო სკოლების და მათი პროგრამების შესახებ იგივე უნდა ითქვას ქალაქის სკოლების და მათ პროგრამების შესახებაც, იმ გარჩევით, რომ აქ მოვალ კლასიანი სკოლებია და მასწავლებელ პროგრამასაც ერკლათ და ბეჯითათ გადანი.

ამით ვათავებ სკოლებზე ბაას და გადავდივარ სოფლის მასწავლებლებზე.

სახელმწიფოებრივი.

(მემკვიდრე იქნება).



განგება ღვთისა აღსრულდეს!..

(ოსენი ლექსია)



გვანოზი თანდოდა, თორმეტი წელიწადი ბარის ოსებში დევნობოთ იყო. თავის სამშობლო ადგილს ვმარწელობითვე თავი დაანება და მიწდერთ—ოსებშივე შეერთა ცალი და შეუდგა ოჯახის მოწინებას... იგი ორმოცდათუთხმეტ წლამდე იყო მიხწეული. მას კარგა ხანია სურდა თავის მთაში დაბრუნება და ბოლოს დროს თავის ცალითან ბა.ი სულ იმაზე-და ჰქონდა, რომ დროით მიბრუნებოდა თავის ძვირფას სამშობლოს, სადაც მას გაეტარებოდა თავისი სიყმაწვილე და სადაც „იგუთუნის მამა-პაპათა კუბის ფუკარა“ და ამისთვის ერთ შაბათ დღეს, დაღალულ-დაწყვეტილი ყოველ დღიური საოჯახო საქმის კეთებით—შეუღვა მამა-პაპეულ სადგომისკენ ვადასახლების სამზადისს. მიიხზო ცალიც, მიატოვა ბარათ ცხოვრება და ვადასახლდა ს.

ვილდას, რომ იქ მაინც დაძაბუნებულს და მიხუცებულს მოგვინდა.

იგი მხრე იყო და გამჭირაინი; დაუღალავე, მაგრამ მიხრე ღარიბი. მისი მთავარი დარბაზი იყო ძველი და გათახსირებული. ერთათ-ერთი შეენება მის მდგომარობისა იყო სახლწინ ნაძვის ხე—ზამთარ ზაზხულ მწვენიე მოღაღადე და მის ძირ-შივე აკურის თაოით ამოყვანილი, ყინულითიე ცივი, ბროლიეე წმინდა ანკარა წყარო, რომელიც ადგილობრიეე ოსებს გამეურნებელ და წმიდა წყლათ რწამდათ.

თანდოდას სიკოცხლემე ბეერი რამ ვადახედა; უნახავს მრავალი მდიდარი ოჯახი, არამე თუ თვადა-ზნაურებში, თავის კარის მებობლებშიაც, მაგრამ არც ერთხელ მათ მეერ შური არ ვადახედა. ერთხელაც არ ვაუვლია ვულში შეედარებოდას მათთვის თავისი ღარიბი ოჯახი. იგი მამა-პაპეულ ადგილში კი ხან-ა არა მდგარა; ბარათ ცხოვრება და იქაც ნახევარზე დევნობოდას უნდებოდა და, აშკარაა, ხელმარტო ოჯახს წინ ვერ წასწედა. მაგრამ ახლა, რაღდაც იგი დაბრუნდა თავის სამშობლოში, თავისუფალი დრო ხელთა რჩებოდა, ცდა და ფექრი შეეკლო რამდენიც სურდა.

რამდენი ხანიც დაჰყო დევნობა სამშობლო ადგლს, იმდენი უფრო უმეყოფილო რჩებოდა თავის ქონებით. თვალში ეჩივრებოდა მეტროლის დარბაზი, სულ მუხის ვულით ნაშენები ქვებობზე, მის სახლის ახლო, რომელიც გვერდზე ძველ კოშკმიდგმული, მძლავრათ და ამავთ გადმოიყურებოდა. „ნამდვილი არწივის ბუდე! ვეჯაკურე, მაგრამ არა შესაფერი მის პატრონისა“, ამბობდა გულში დევნობოზი. ეს იყო ეს უკლავდა გულს. ვადასწეებოდა მისი დასაკუთრება თანდოდამ და თავის აზრი ვაუნაწილა მიეულღეს. მისაუვის კი არა რამ მისგან რჩევა რამე მიელო ამ საგანზე, თანდალას ქალთან თათბირი და მკორებათ მიჩნდა, თუმცა იგი იყო მისი ცალი და დედა ოთხი ვაქრეილისა. მან თავისი მოსაზრება მიტომ წარუდგინა ცოლს, რამ სურდა ხმა ამოელო, დალაპარაკებოდა ვისმე. ქუქიონას (ასე ერქვა ცოლს), ეშინოდა თავისი ქმრისა, ემორჩილებოდა ყველაზე, ხოლო ამ შემთხვევაში მისი ვული შეტოვდა, სინიღმსა ვაბებღეს ვთქვა ქმრისთვის, რომ კოშკიანი სახლი, შეადგენის თანდოდას ძმისწულის საკუთრებას და წარბევის უფლება არა აქვს.

ცოლის წინააღმდეგობამ თანდოდას მწარე ღიმილი მოეგვარა. ქიტას! მერმე რა ძალი აქვს ქიტას? ჩემზე ხომ „უჭირაინა“ რაოგორც ბიძაზე. ქიტას რა შნო აქვს იმ სახლების მოსმარებისა. ქიტას, რა მელსაც ცხვრის ტყაი ზამთარ-ზაფხულ ტანიდან ვერ

მოუშორებია და გდია კერას პირას გაუნძრეველი. აუტუს სახლო, აუტუს ოჯახო!

—ნუ თუ ქიტასთანაც ხელის გაქნევა დამპირდება?! მიცემქ სამაგიეროთ ჩემ დარბაზს და ხოდაბუნებს და თუ ამირია, არ დამკაყოფილდა, ნადების ხე და მისი ჯანი! ჩურჩხელასაებ ჩამოცილებ ზედ, მორჩა და გათადა...

ქიტას წაართვის სახლკარი, წაართვის დარბაზი — შეენება მთელი სოფლისა და იგი, ჩასაკერველია, ჩიოდა ამას საქვეყნოთ. ამიტომ ერთ ღამეს თანდლომ ქიტა ჩამოჰკიდა ნადების ხეზე და ჩამოახრჩო. დიდი ტრილილი და ვება ჰქონდა ქოქიონას წმიდა ხის ვაცოდენანებაზე, მაგრამ რას იზამდა! დეკანოზი იცინოდა; შვილები კი ჩუმათ ტროდენ. მხოლოთ მეზობლობა, რომ გაუცილდა ნადების ხეს წყაროს ამოსაღებათ, შენდობას უთელიდენ ქიტას და თანეე გოაკებით გაიძახოდენ: „ღმერთო, რა ცოდვა დატრიალდაა!..

—

განულო წელიწადმა; დეკანოზს სახეზე სეედის დიდი დაეტყო, შეიქნა ჩაფიქრებული, იყო მდუმარე — გულკინარი. დამდეგ მისის, როდესაც ოსთაწითელ ნატობამ მოატანა, იგი შეუდგა საშხადისს და მოისურვა დღეობის ვადახდა. ამ ნადიმს მრავალი ოსობა დაესწრო. ბევრმა უსურვა ახალ შეძენილი დარბაზის მშვიდობაში მოხმარება. დღეობამ ვასტანა ორი დღე და ღამე: ლუღი და აჩაყი წყალივით ისმოდა. მასპინძელი ისე გაურადა და გამზარულდა, რამ ორი კოკა ლენიოც კი ამოატანა ბარის ოსებიდან.

მაგრამ დეკანოზს გულს უკლავდა მეზობლები-სავან ნანახი და ნამობი; ერთი მენახირე გულ მოვლინეთ ფიცავდა წმიდა გიორგის სახელს და მის შუბის წვერს: რომ ზედა-ზედ შეიდი ღამეა მესმის ნადების ხის ტოტების ღლაპრაკი და ჩურჩული, როგორც ნამდელი ადამიანის, მასთანავე დეკანოზს თავის ყურითეე გეგონა რამდენჯერემ სახელი ჩამოხრჩობილისა: „ქიტა-ქიტა“!

დღეობის დასაწყისში, დეკანოზის ზოგიერთ მეზობლებს, საღამოს ეამს დადნახათ ნადების ხე, სრულიად გატეტვებული, უყოთლოთ, უტოტებოთ, რომელზედღაც აშკარათ ენახათ გვამი ქიტასი, ცხენის ტყავში გავებული, ტოტზე თოკით ჩამოკიდებული და ყელში მოხრანტავდა. დეკანოზი მით უმეტეს ელოდა სასჯელს, რომ მისიეე მეგობრები, მოხუცა დეკანოზნი, უჭადდენ დალუბებს და სასტიკ სასჯელს უფულისს.

ნოშნები მისის სასჯელისა თანდათან ჩნდებოდა. არ გასულა ერთი კვირა, რომ ნადების ხე ძირიან წაიქცა. შემდეგი კვირის ხუთშაბათს, ღამე ატყდა

ელვა—ქეჯა, დეცა მები ცხებს და ძირიან აღმოებრა. ხოლო მესამე კვირა ღამეს, წყაროს შუა გულიდან ამოვიდა მოხუცა თავით ფეხამდე თეთრი თოვლივით, ხელთ ეპყრა ვეარჯენი, რომელიც სამჯერ მუქარით შემოიქნია დეკანოზის დარბაზისკენ; მეორე დღეს დილით წყარო დაშრა და აღარ ჩანდა მისი არსებითი ნიშანიც. მთელი სოფელი შიშის ზარმა აიტანა საყოველთაოთ, „ღეცაუ ბუასქენა“ *) გაიძახოდენ, „უბედურება მოეღის ჩვენ ცოდვიან სოფელსო“. მაგრამ გულქევა დეკანოზი, როდესაც უამბობდენ ამ ამბებს, მწარეთ ილიმებოდა და გაუტეხავათ ემუქრებოდა მიხრბებელს, თოტუა ბოლოს, ცოდვის მოსანანიებლათ ორი დღე და ღამე გავიმა დღეობა და წვეულება. გათავდა დღეობაც, სტუმრები წაიდ-წამოვიდენ და დარბაზი დეკანოზისა მოიქცევა გულშემბუთებლმა მდუმარებამ. განულო მას შემდეგ რამდენიმე დღემ და დეკანოზს პირველი უბედურება დაატყდა თავს: მისი უფროსი შვილი, რომელსაც თოტამე „ლაქაურის“ უაფხზე ცხვარი ეძოვებია, დაღორებულ ცხვარს ვაკყოლოდა და საჭერათ, გადაჩხილიყო უზარ-მზარ კლდიდან და იქვე სული დაეღოა. ამის გამო, მასთან მყოფი, მოჯამაგირე ოსი, დეკანოზმა ხანჯლით დაჩეხა, რატომ არ უშეველ ჰემ შეიღოა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მისი მეორე შვილი ცხენმა დაჩეხა ერთი ოსის ნახევარ წლის წირვანში. ამ დროს იარლის გამოფენა იცან მიცვალეზულის საფლავზე და დაესწრებია ყველა მოჯირითინი საგანგებოთ არჩეულ ცხენებით. ვინც ხეზე ჩამოკიდებულ იარალს გატენებული ცხენით შეწედება, მისია ჯირითი მოგებული და გამოფენილი იარალიც მას რჩება. დეკანოზის მეორე ვაჟი დაესწრო ამ წირვას; მართალია ჯირითი მოიგო, მაგრამ ფეხი უზანვიდან უღროვით გამოძალა და ცხენიდან გადმოვირდა; ცალი ფეხით უზანგოში ვაკურილი ცხენმა დიდხანს ათრია და ბოლოს შეიწირა კიდევ...

მესამე შვილი სმის დროს ერთმა ოსმა დაშახით მოჰკლა. მეოთხე კაცკაის ოსებში გადავიდა და იქ სამუდამოთ მიიკარჯა. დეკანოზის ცოლს აშხაგი მოუფიდა, რომ იქ ქისტებთან ერთათ ავაზაკობისათვის ყახახებმა მოჰკლესო.

საწყალი ქოქიონა! დღე და ღამ აფრქვედა ცრემლს და საწთლივით დნებოდა ნაულისაგან.

თითი დეკანოზი ოთხი ვაჟიშვილის ზედი-ზედ დახოციით მოტყდა და მოუძლოურდა, ერთ დღეს აიღო ჯოხი და ბარის ოსებში ჩავიდა მღეფდლთან ჩჩევისათვის. მღეფდლმა ურჩია გულწრფელი ლო-

*) დემოთო გეჰეკლე.

საქართველოს
საბჭოთაო
საქართველო

ცვით გამოეყიდა თვისი შეცოდებანი. უჩრია ავშე-
ნებია ნიშიც და იქვე ელოცნა მუდამ დღე.

რამდენსავე კვირას შემდეგ, სოფ. ვილას დე-
კანოზმა ააშენა ახალი ნიში მუხის გულის ნა-
თალი ფიტრებით. თვით ქუდ მოგლეჯილი, სან-
თელ კლაპტრებით იდგა ხოლმე ნიშის წინ და ხან-
გრძლივით ვეცდებოდა უფალს.

მაღე ქაქიანაც ჩაეარდა ლოგინათ და გამო-
ესალმა წუთი სოფელს.

კოლის უეცარმა სიკვდილმა წელი მოწყვიტა
დეკანოზს, იგი თმა გაწიწალი გიჟებით ვეშურა ისე
ღვდელთან; უამბო თვის უბედურება და რჩევა შეჰ-
კითხა:

— მღვდელიო, რა ექნა, რომ მოვიწინაო ცოდ-
ვანი ჩემნი?

მოძივარმა მძიმეთ გაღისეა ხელი წვერზე, გადა-
სახა პირველარი თანდილას და ღინჯათ მიუგო:
— ჩანს, შეილო, მძიმენი არიან ცოდვანი შენი...
განება ლეთისა აღსრულდეს!..

ამით ვალწუხა უკანასკნელი იმედი დეკანოზს.
იგი მუხლებში იქვე მოწუდა და დასუსტებული ნა-
ბიჯით შეუდგა ს. ვილდას ასავალ აღმართს. გზაში
ბევრგან დაისვენა ღონე მიხდომა. შესეა ბევრგან
მთის წყარო, მაგრამ უგემურათ ეჭვენებოდა. თა-
ვისი წყარო აგონდებოდა; თავზე ნაძვის ხე წაზოდ-
გმული, მოეჩვენა რამდენჯერმე ცხერის ტყეში გა-
ხვეული ქიტაც. იგი აირია, დაინა. მანამ სახლს
მიატანდა შევიძალა კოდეც და გაეარდა ტყეში. ერთ
კვირას შემდეგ მგზავრმა სოფელში ამბავი მოიტა-
ნა: ლმერთმანი, თანდილა დათვის შეუჰამია, წი-
ფელას ტყეში; მისი თავი გამოჩრული ენაზე და ხან-
ჯალი წიფლის ძირში ჩაქანგებულყო.

დეკანოზის სიკვდილს შედეგ ერთი საოცრე-
ბა მოხდა. სოფლის წყარომ ძველგებურათვე იწყო
ჩუხჩუხი, ნაძვის ხე ადგა და შეიმოსა სასამოერო
მწვანე ფოთლებით. ამასთანავე ერთათ სოფელმა
ააშენა ახალი წმიდა გიორგის ნიში, რომლის დღე-
ობაზე მთელი მთის ოსობა თავს იყრის ხოლმე.
თვით დეკანოზის ძველი დარბაზი და ქიტას კოშკია-
ნი სახლი მიინგრ-მოინგრა, ღვარძლა, ცუდი ბლა-
ხია შიგ ამოასული და სხვა-და-სხვა ქვეწარმაველი ბუ-
ღობა.

ა. კრისტავი.

უცხოეთის ამბები.



ასული კვირის განმავლობაში სტამბოლში
კუნძულ კრიტის საქმეების მოწყობაზე ჰქონ-
დათ სჯა. ელჩებმა საერთოთ განუცხადეს ოს-
მალეთს მთავრობას, რომ ისინი თანახმა არიან უც-
ხოელების ჩარიცხვაზე კრიტის ქანდარმებათ და ავ-
რეთვე ქანდარმების უფროსებათ უცხოელ აფიცრე-
ბის დანიშნაზე. 19 ნოემბერს მოხდა უკანასკნელი
სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც უნდა მოეწყო
ქანდარმების საქმე კუნძულ კრიტზე.

ოსმალეთის დელეგატებმა ამ სხდომაზე განაც-
ხადეს, რომ პორტა არ ეთანხმება უცხოელების ჩა-
რიცხვაზე ქანდარმერიაში, მაგრამ თანახმაა, დროებით
დანიშნონ უცხოელი აფიცრები. ეს კომისია და ავ-
რეთვე სამოსამართლო რეფორმების კომისია ახლო
ხანში გაემზავრება თავის დანიშნულების ადგილზე,
თითქმის ამავე დროს ელჩებმა პორტას წარუდ-
გინეს წინადადება, რომლითაც ისინი თხოულობენ,
რომ კუნძულ კრიტზე გაგზავნილი საადლინ-თაშა
ისევე უკან იქნას დაბრუნებულიო; ამასთანავე დათ-
ხოვნილ იქნას კრიტის ჯარების უფროსი. ამას გარ-
და ელჩები თხოულობენ, რომ უმაღლესი სასამართ-
ლოს პრეზიდენტათ და ობერ-პროკურორათ კრიტისა
ქრისტიანები უნდა იქმნენ დანიშნულიო. ამაზე
პორტამ უპასუხა, რომ საადლინ-თაშის გაგზავნას კრიტ-
ზე, მხოლოდ სამხედრო და ადმინისტრაციული ხასი-
ათი აქვს და არა პოლიტიკურიო.

სტამბოლში ამ დღეებში დააპატიმრეს ზღვის
სასწავლეგბელის 15 მოწაფე და სამხედრო სასწავლე-
ბელის 4 მოწ. და აგრეთვე სხვა ეკრძო პირნი; ეს
გამოაყვეულია ოსმალეთის ახალგაზღვების მოძრაობის
გამო. ამავე დროს სტამბოლიდან იწყებებიან, რომ
ხარპუტში და დიარბერქირში არეულობა მოხდა და
ალაშკერტის საოლქოში ოსმალეთის ჯარი სომხებს
შეეტაკაო, მაგრამ ამ ამბების შესახებ ვერაჯერობით
ელჩებს არავითარი ცნობა არ მიუღიათ.

ამ ლღეებშივე დამთავრდა საპარლამენტო არ-
ჩენები ბოლგარიაში. არჩენების დროს უბედუ-
რება არ მოხდარა, თუმც მართებლობის მოწინააღმ-
დევე პარტია ძლიერ მოწადინებული იყო უწყსოება
მოეხდინა, მაგ., სატანტო ქალაქ სოფიაში ქვებიც
კი დაუშინეს პოლიციელებს. საზოგადოთ ოპოზიცია

წლებადღელ არჩევანებში დიდ მონაწილეობას ღებულობდა, მაგრამ ამის მიუხედავად მეტათ საგარძნობლათ დამარცხდა. 169 არჩევანიდან მართებლობის პარტიამ გაიმარჯვა 151 არჩევანზე, ოპოზიციამ მხოლოდ 14-ზე (4 არ შედგა); ამასთანავე არც ერთი ოპოზიციის გამომჩენილი მეთაური: რადოსლავოვი, გრეკოვი, ცანკოვი და კარაველოვი,—არ აუჩიევიათ.

სახუმარო ვასართობი.

განაყ. ვაზარჯობა შენი, გოჯასპირ, გოჯასპირ. ღმერთმა გავიმარჯვოს, ივანე! **ივანე.** ამისთანა გამარჯვება მიეცა ბერძნებს და ვინა ჩვენი შავი ქვის საქმეს ახდენს! **გოჯასპირ.** როგორ კაცო! საიდან მოიღწახა? **ივანე.** საიდან მოედივარ და ბათუმიდან!.. **გოჯასპირ.** ბათუმში რა გინდოდა?

ივანე. რაეა რა მინოდა?... ამას წინეთ ფოთში ვიყავი ბერძენ იანოპოლოსთან, ფულების ასაღებათ, იმან ბათუმში დამიპირა. შენს მტერს მისთანა, მე შოშივიდა. ვეძიე, ვეძიე, რა ბძანებანა.. სადაც ვიკითხე კანტორებში, კინალამ ცხვირი მომტყხეს, აქანა ფოთი კი არ არის, ბერძენის კანტორას რომ ეძებო!.. იმ ზომანზე მივედი, რომ სახარჯოც გამოიმეღია. ისთვე ვაჩიე ქიათურისკენ დაბრუნება. გავბრვიედი, ძმაო, მეც მოგიღე მარჯანეცის წარმოებას ხელი და ჩაუეზარი იმ წყულ ბერძნებს ხელში. ახლა სხვა არა იყოს-რა მუშებს ეღარ გოდურჩები მოუტლავი. გამიშა ხელიდან და მუშების ფულიც მე დამატება კისერზე. შენ, გოჯასპირ სად იყავი? **გოჯასპირ.** მეც ვიყავ ფოთში.

ივანე. ვაი თუ შენც ჩემსავით ატრუკლი!.. **გოჯასპირ.** აოხრება და ვატიალება იმათ, ვინც პირველათ ისინი ჩამოათესლა ქიათურაში? **ივანე.** შენ მაინც, რომელთან გაქ საქმე? **გოჯასპირ.** აკი, გაუწყრა ღმერთი, მოგების სულმა წამძლია და ახლა მეც შენისთანა ტაფაში ვიხრაკები! ჩამსვა იმ მამახრის შეიღმა,—ავგერინია, თუ ვილაც ჯანდაბა! ათი დღე დაჩრიხი, ფულს ვუტურებდი, არ იქნა, არ მოუვიდა: „პარახოლი“ მოვა, ფული ბლომათ იქნებოა,—მატყუებდა მისი პრიკამჩიკი. ვანა მე არ ვიცოდი, რომ „პარახოლი“ ფულს არ მოიტანდენ? მაგრამ ეს იყო თვალების აბმა და კიდევ ასე გვიბმენ თვალებს ბერძნები. ეეროპილეუმ, ხომ ღამის ჩაგყლაპონა.

ივანე. მაინც რა იმედით გამოვიტყურა? **გოჯასპირ.** ათი მანეთი მომცა სახარჯოთ, წადი ქიათურაში ფული იქ მოვიგაო. აბა, რას მომცემს! თურჩე ბანკები მოუტყუებია და ახლა დასაჭერათ ეძებენ.

ივანე. ჩვენი საქმე ცუდათაა, ნამეტურ მემამულეების, თუ რამე არ მოვახერხეთ...

გოჯასპირ. აბა, რა უნდა მოვახერხოთ კაცო! რამდენი ამხანაგები შედგა: „სინდიკატი“ ვარო, მეორე კავკასიის შავი ქვის ამხანაგობა ჩ — მის მეთაურობით და—მესამეც რალაც „ომშიესტროს“ ეძახიან, ორასი კაცი არის შიგ მომწყვედული და ყველას ბოლო ეღება. პირველმა სინდიკატმა, ზ — ჩის მეთაურობით, სახელი კარგი გაითქვა. მაგრამ ვისაც სისხლი ეღება, ყველა წურბელასავით გამოწოვებს ეეროპიელ კაპიტლისტებმა და მათმა კაპისოანტრებმა.

ივანე. მერე ბ. ზ — ჩი რას უტურებს! მასთე რაეა გასულელდა?..

გოჯასპირ. იმაშააც მოეტყუებდათ. მართალია, განათლებული კაცია, მაგრამ წარმოება-მარწყელობას სულ სხვა გოჯრა უნდა, ჩ — ძემ თვისი ამხანაგობა შეადგინა, ფსები დაუტლო, სინდიკატს გავაკატრებოა, მერე მთელი მარჯანეცი მე დამჩიებოა. თითონაც ვაკატრდა, სინდიკატსაც საქმე წაუნდინა და ჩვენ ყველანი წყალში ჩაგყვარა. ჩ — ძეს რომ საქმე მოუვიდა, „შენს მტერს! კინალამ ხანჯლევ-



ბით დაჩენეს ერთმანეთი. ჩ — ძე აბასთუმანში იმალებოდა სამ თვეს, როცა მისმა ამხანაგებმა შეატყეს, რომ მისგნით მოტყუებული დარჩენ.

ა—გო მეთაუღურე.

„კვალის“ ფოსტა.

სად, კერაო. ვანოს: თქვენი ლექსი ჭეინჯან არ დაიბეჭდება; თარგმანი დედანს არ ებეზრება.

სოფ. ჩ-თი, ა. ლ-ს: ასლ თქვენ ასწავლეთ ბავშვებს უკეთესი გალობა. „სოფელში მიდრეკილი ზნეობა“: განსწორეთ და წვენი გავათავისუფლეთ ამ გვარის ლექსების ვითხვისგან.

სადა ქართველს: თქვენი ლექსი „ვისაც როგორ აუნდება, ისე უნდა ჩაასწავლოს“ წყვილით, ბევრი ჩაწველეთ, გვეგონა ამით ლექსის შინაარსს ავიტყვიდით, მაგრამ ვერც გაესდით, ამიტომ ვერ ვუღაჭოთ მის დასტამებას.

ი. ც-ის: თქვენი ლექსი: „ვინ მოსწონთ ესა ზვენი ქალისა“, მნიშვნელობა არა აქვს, მანამ არ გავთვით: ვინ მოსწონთ ასა ზვენი კარეს; ლექსიც ამიტომ ვერ დაისტამება.

რედაქტორ-გამომცემელი ახ. თ.-ჭრეხა: იას.

ქართული თეატრი.

ქმრას, 24 ნოემბერს 1896 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების ღმრ მხერ ზუგდიდის, ალექსიევი-ქისნიშვილისა და უიფანის მონაწილეთობით წარმოდგენილი იქნება:

I

ურიელ-აკოსტა

ტრე. 5 მოქ., თარგ. ბაჭმავის.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. აკადემიკოსისა, ივანოქ, ჯენჯელი და სხვ. ბ.ბ. ალექსიევი-ქისნიშვილი, უიფანი, სვიმონოქ, გელკანოვი, მარჯანოვი, გამურელიძე, კანდელიძე, აქაძე, კანელი და სხვ.

ადგილებს ფასნი ჩვეულებრივით

დასაწმინდი 8 საათზე

რეჟისორი. ვ. ს. ალექსიევი-ქისნიშვილი.

ადმინისტრატორი ვ. შათირიშვილი.

ექიმი ვ. ი. ბაღრიძე


მიიღებს აუთოყოფებს შუადღის 12 საათიდან 3 სათამდე. კარბინის ქუჩა სიმონოვი შესახვევში სახლი არაქლოვისა.

პანცერი და გლუხოვსკი

თბილისი, სხსანლის ქუჩა, სარაჯევს სახლი (ვზოში).

ასლათ გავლული ქარხნის საქუბო

საპარკი გაუინაბი



ნამდვილის

ზინგერ-ნაუბანისა

და სხვ. გამაჩენილი სისტემის მამინა: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისა.

(25-2)

ამადო საავამთავროვო ავგულატორიით მამ. ს. ბ. თოჭარისი. მ. ქუთაისში.

საავამთავროვოში დგას ორმოცი საწოლი ხიროურგიულ, გინეკოლოგიურ, შინაჯან სენით და თვალებით აუთოყოფათვის. გადამდები სენით აუთოყოფნი არ მიიღებინ. მოსიარულე აუთოყოფნი მიიღებინ უკველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 სათამდე.


შინაჯან და ნერვებით აუთოყოფებს მიიღებს: ქ. ს. ვ. თოფურია.

ხიროურგიული, შარდით და ათამაზით ქ. ფ. კ. გერბატი.

დღედაკურ აუთოყოფით და საბებიოს ქალი-ქეში. მ. ფ. გუბანი.

თვალებით აუთოყოფებს - ექიმი ი. კ. კარმაკო. ამბულატორიისთან არის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კაბანტი. იქვე შეიძლება წამლობა ელექტრონული ძალით და მასაჟით.

საავამთავროვოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.



საავამთავროვოს დირექტორი ს. ვ. თოფურია. (10-16)